სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030612379950721

12 / აპრილი / 2021 წ. **თბილისი #06-64/ო**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

“საქართველოს შრომის კოდესი” საქართველოს ორგანული კანონის მე-23 მუხლის და “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და “რ” ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დამტკიცდეს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანდართული შრომის შინაგანაწესი.
2. შრომის შინაგანაწესი განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას.
3.ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელონ ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეებმა საკურაციო სფეროების მიხედვით.
4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის” შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2017 წლის პირველი დეკემბრის #06-236/ო ბრძანება.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე